

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	11
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
9. კომერციული ხარჯები	13
10. ფინანსური ხარჯი.....	13
11. კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	13
12. ძირითადი საშუალებები	14
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
14. სავაჭრო მოთხოვნები.....	15
15. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები.....	15
16. ფული და ფულის ექვივალენტები	16
17. კაპიტალი.....	16
18. მიღებული სესხები.....	16
19. საგადასახადო ვალდებულებები	17
20. სავაჭრო ვალდებულებები	17
21. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	18
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	21
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	22
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	23
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკეს“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს; და
- ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, კომპანიას არ ჩაუტარებია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაცია. ჩვენ ასევე არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ასევე ვერ დავადასტურეთ 2019 და 2020 წლის განამგლობაში შემოსული ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 7,470 და 1,645 ათასი ლარი. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოცემული თარიღებისათვის გავლენას ახდენს ცვეთის ხარჯზე, ჩვენ ასევე ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა 2019 და 2020 წლების ცვეთის ხარჯის კორექტირება.

კომპანიაში დიდი ხნის განავლობაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა, შენობა-ნაგებობების და დაუმთავრებელი მშენებლობის ჯგუფების გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, რომელთა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 4,189 ათას ლარს. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ თანხებთან მიმართებაში. ასევე ჩვენს მიერ გაცემული მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე იყო მოდიფიცირებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციაზე არსებული შეზღუდვით. შესაბამისად, ჩვენ ვერ

განვსაზღვრეთ აღნიშნული შეზღუდვის ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიასგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-25 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ინფორმაციასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიას ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვსაქვს დასკვნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

25 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

25 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.



შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	25,326	25,565
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(18,681)	(18,790)
საერთო მოგება		6,645	6,775
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	1,254	337
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,633)	(1,971)
კომერციული ხარჯები	9	(4,160)	(4,197)
საოპერაციო მოგება		1,106	944
ფინანსური შემოსავალი		183	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		(10)	-
ფინანსური ხარჯი	10	(637)	(646)
კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	11	(120)	(14)
მოგება დაბეგვრამდე		522	284
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		522	284

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლევან ჩხაიძე
დირექტორი

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	25,326	25,565
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(18,681)	(18,790)
საერთო მოგება		6,645	6,775
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	1,254	337
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,633)	(1,971)
კომერციული ხარჯები	9	(4,160)	(4,197)
საოპერაციო მოგება		1,106	944
ფინანსური შემოსავალი		183	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		(10)	-
ფინანსური ხარჯი	10	(637)	(646)
კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	11	(120)	(14)
მოგება დაბეგვრამდე		522	284
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		522	284

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:


 ლევან ჩხაიძე
 დირექტორი



შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	10,958	10,215	3,329
არამატერიალური აქტივები		108	69	43
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი		22	152	718
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,088	10,436	4,090
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	2,147	1,528	1,020
სავაჭრო მოთხოვნები	14	2,597	2,705	2,196
ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	15	309	389	226
ფული და ფულის ექვივალენტები	16	133	242	122
სულ მიმდინარე აქტივები		5,186	4,864	3,564
სულ აქტივები		16,274	15,300	7,654
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	1,300	1,300	1,300
დაუფარავი ზარალი	17	(1,388)	(1,910)	(2,194)
სულ კაპიტალი		(88)	(610)	(894)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	18	7,071	6,221	3,841
გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულებები	19	586	-	78
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,657	6,221	3,919
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	18	2,597	2,187	880
საგადასახადო ვალდებულებები	19	383	1,393	1,503
სავაჭრო ვალდებულებები	20	5,086	5,848	2,205
მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21	639	261	41
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,705	9,689	4,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,274	15,300	7,654

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
1 იანვარი 2019	1,300	(2,194)	(894)
მიმდინარე წლის მოგება	-	284	284
31 დეკემბერი 2019	1,300	(1,910)	(610)
მიმდინარე წლის მოგება	-	522	522
31 დეკემბერი 2020	1,300	(1,388)	(88)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	522	284
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	902	575
ფინანსური ხარჯი	637	646
ფინანსური შემოსავალი	(184)	-
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი	(312)	-
უიმედო და საექვო ვალების რეზერვის ზრდა	282	129
საქონლის გაუფასურება და დანაკლისი	528	1,334
საკურსო მოგება/(ზარალი)	120	14
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	2,495	2,982
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(1,146)	25
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(151)	(637)
ცვლილებები ავანსებსა და სხვა მიმდინარე მოთხოვნებში	197	402
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(780)	3,646
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	73	(250)
ცვლილებები მიღებულ ავანსებსა და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	378	220
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,066	6,388
გადახდილი პროცენტი	(323)	(834)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	743	5,554
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,620)	(9,352)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(65)	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,685)	(9,352)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	849	3,935
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	849	3,935
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(93)	137
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	242	122
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა	(16)	(17)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	133	242

1. კორპორატიული ინფორმაცია

ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205264284.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია საქართველოში წარმოადგენს ხორცპროდუქტების მწარმოებელ-სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ფლობს ხორცპროდუქტების მწარმოებელ ქარხანას და სასაწყობო მეურნეობას თბილისში. აღნიშნული სავაჭრო ნიშნით ხორცპროდუქტების იწარმოება 1961 წლიდან. ქარხანაში სხვადასხვა სახეობის ხორცპროდუქტები იწარმოება, რომელთა შეძენაც, კომპანიის კუთვნილ საფირმო მაღაზიაში და საქართველოს მამულებით ყველა დიდ სუპერმარკეტში არის შესაძლებელი. შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 9 საფირმო მაღაზიას. 8 მათგანი მდებარეობს თბილისში, ერთი კი ბათუმში.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გმირი კურსანტების ქუჩის II შეს. N7.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2020 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2019 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია მსს ფასს-თან სრულად შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება. ხოლო მანამდე არ აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებას. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამოწვევებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფლობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა, როგორც სავალდებულო ისე ნებაყოფლობითი გამოწვევები.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა შემდეგი ნებაყოფლობითი გამოწვევის რეტროსპექტიული გამოყენებიდან გათავისუფლებისთვის:

რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება ძირითადი საშუალებებისათვის.

გამონაკლისი გამოყენებულია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის განახლებული მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღი. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ“ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტის შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვარი	2.6727	3.0597

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
მანქანა-დანადგარები	2-12
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	2-7
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სხვა ძ/ს	2-8

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ბუღალტრული პროგრამა	10
სხვა	10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუროსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

კომპანია ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ამონაგები რეალიზაციიდან. კომპანია რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:	2020	2019
დაფასოებული ხორცპროდუქტები	13,358	12,662
ხორცპროდუქტები დაფასოების გარეშე	10,401	11,904
ნახევარფაბრიკატები	348	417
სხვა პროდუქცია	1,219	582
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	25,326	25,565

ამონაგები საქმიანობის ტიპების მიხედვით:	2020	2019
საბითუმო ვაჭრობა	20,659	22,528
საცალო ვაჭრობა	4,667	3,037
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	25,326	25,565

კომპანია შემოსავალს აგენერირებს როგორც წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციით და სხვა კორპორატიული გაყიდვებით, ასევე საკუთარი მაღაზიების ქსელის საშუალებით.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(18,154)	(17,456)
საქონლის გაუფასურება, დანაკარგი და დანაკლისი	(527)	(1,334)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(18,681)	(18,790)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
მიღებული დაფინანსება*	898	-
მიღებული გრანტები**	312	-
ვალის პატიება***	-	309
სხვა	44	28
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,254	337

*კომპანიამ 2020 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტის ფარგლებში მიიღო დაფინანსება. პროექტის მიზანია კომპანიამ წარმოება ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვოს და უზრუნველყოს უსაფრთხო და ეკომეგობრული სამუშაო გარემო.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციის სრული ღირებულებიდან (1,746 ევრო), საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები შეადგენდა 1,646 ევროს. პროექტის მიხედვით, სესხის სახით მიღებული თანხის 15 პროცენტი (247 ევრო) მხარდამჭერი გრანტების სახით ანაზღაურდებოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, წინასწარ გაწერილი ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ. აღნიშნული თანხის მიღების უფლება კომპანიამ მიიღო 2020 წლის განმავლობაში.

**მიღებული გრანტები წარმოადგენს კოვიდპანდემიის პერიოდში ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად ამოქმედებული საკომპენსაციო პაკეტის და შეღავათების შედეგს.

***2018 წლის 22 იანვარს კომპანიასა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა შეთანხმება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისა და ანაზღაურების შესახებ. ამასთან, გრაფიკის შესაბამისად ვალდებულების დაფარვა წარმოადგენდა საურავის პატიების საფუძველს. კომპანიამ გრაფიკის მიხედვით დაფარა დავალიანება და საურავი 309 ლარის ოდენობით აღიარა სხვა საოპერაციო შემოსავალში.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1,434)	(1,125)
საექვო და უიმედო ვალების ხარჯი	(282)	(129)
საგადასახადო ხარჯი	(154)	(221)
ცვეთა და ამორტიზაცია	(149)	(49)
საკონსულტაციო ხარჯი	(131)	(51)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(76)	(50)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(60)	(57)
საკომუნიკაციო ხარჯი	(32)	(30)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(315)	(259)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,633)	(1,971)

9. კომერციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(2,150)	(1,930)
იჯარის ხარჯი	(642)	(596)
დისტრიბუციის ხარჯი	(614)	(622)
რეკლამის ხარჯი	(236)	(584)
ცვეთა და ამორტიზაცია	(259)	(194)
საქონლის შეფუთვის ხარჯი	(175)	(211)
სხვა ხარჯი	(84)	(60)
სულ კომერციული ხარჯები	(4,160)	(4,197)

10. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	(628)	(627)
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	(9)	(19)
სულ ფინანსური ხარჯი	(637)	(646)

11. კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3
ფული და ფულის ექვივალენტები	(16)	(17)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(18)	-
სასესხო ვალდებულებები	(97)	-
სულ კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(120)	(14)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	მიმდინარე მშენებლობა	მანქანა დანადგარები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
1 იანვარი 2019	559	990	3,249	159	722	129	1,109	127	7,044
შემოსვლა	5,921	4,243	1,272	101	217	170	527	251	12,702
გასვლა	-	(5,233)	(2)	-	(102)	(6)	(1)	-	(5,344)
31 დეკემბერი 2019	6,480	-	4,519	260	837	293	1,635	378	14,402
შემოსვლა	573	-	794	35	79	6	65	93	1,645
გასვლა	-	-	-	-	(28)	-	-	-	(28)
31 დეკემბერი 2020	7,053	-	5,313	295	888	299	1,700	471	16,019

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2019	(1)	-	(2,361)	(102)	(395)	(95)	(684)	(77)	(3,715)
ცვეთა	(81)	-	(234)	(20)	(87)	(18)	(106)	(23)	(569)
გასვლა	-	-	-	-	97	-	-	-	97
31 დეკემბერი 2019	(82)	-	(2,595)	(122)	(385)	(113)	(790)	(100)	(4,187)
ცვეთა	(202)	-	(302)	(30)	(105)	(33)	(152)	(53)	(877)
გასვლა	-	-	-	-	3	-	-	-	3
31 დეკემბერი 2020	(284)	-	(2,897)	(152)	(487)	(146)	(942)	(153)	(5,061)

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2019	558	990	888	57	327	34	425	50	3,329
31 დეკემბერი 2019	6,398	-	1,924	138	452	180	845	278	10,215
31 დეკემბერი 2020	6,769	-	2,416	143	401	153	758	318	10,958

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 677 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად იყო გაცვეთილი და გამოიყენებოდა კომპანიის საქმიანობაში. საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულ ძირითად საშუალებებზე ინფორმაცია იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ნედლეული და მასალები	1,198	1,214	929
სარეალიზაციო მარაგი	793	258	61
სხვა მარაგი	156	56	30
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,147	1,528	1,020

სარეალიზაციო მარაგები გაიზარდა კომპანიის საფირმო მაღაზიების რაოდენობრივი ზრდის შესაბამისად.

14. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	3,482	3,097	2,561
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	5	228	152
სავაჭრო მოთხოვნები სულ	3,487	3,325	2,713
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(890)	(620)	(517)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	2,597	2,705	2,196

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(620)	(517)
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	(270)	(103)
ნაშთი წლის ბოლოს	(890)	(620)

15. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გადახდილი ავანსები	316	383	224
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	31	32	2
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(38)	(26)	-
ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები, ნეტო	309	389	226

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(26)	-
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	(12)	(26)
ნაშთი წლის ბოლოს	(38)	(26)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	114	223	19
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	17	19	99
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	2	-	4
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	133	242	122

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 1,300 ლარს.

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ანდრო გეგენავა	25.00%	25.00%	25.00%
შპს ჰოლდინგ.ჯი	25.00%	25.00%	25.00%
სს ვაკე	50.00%	50.00%	50.00%
	100%	100%	100%

სს ვაკეს და შპს ჰოლდინგ.ჯის საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები და მათგან არც ერთი არ ფლობს კომპანიაში 50%-ზე მეტ წილს.

18. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	7%	USD	2021	1,122	-	-
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	რეფინანსირების განაკვეთს + 4.5%	GEL	2021	827	2,142	839
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	14%	GEL	2021	600	-	-
დამფუძნებლისგან ნასესხები სახსრები	18%	GEL	2021	48	45	41
მოკლევადიანი სესხები სულ				2,597	2,187	880

გრძელვადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	რეფინანსირების განაკვეთს +წლიური 4.5%	GEL	2025	7,071	6,221	3,841
გრძელვადიანი სესხები სულ				7,071	6,221	3,841

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ სრულად დაფარა სს თიბისი ბანკისგან აღებული სესხები და სასესხო ხელშეკრულება გააფორმა სს ვითიბი ბანკთან. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და დატვირთულია იპოთეკით სს ვითიბი ბანკის სასარგებლოდ.

კომპანიას დაკავშირებული მხარისგან საბაზრო პირობებით აღებული აქვს სუბორდინირებული სესხი უცხოურ ვალუტაში, რომელიც მიმართული იქნა საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

19. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
რესტრუქტურიზებული გადასახადის მიმდინარე ნაწილი	330	-	776
სხვა მოკლევადიანი გადასახადები	53	1,393	727
სულ საგადასახადო ვალდებულებები	383	1,393	1,503

2020 წლის 22 ოქტომბერს დაკმაყოფილდა კომპანიის განცხადება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების თაობაზე. 2020 წლის 22 ოქტომბერის მდგომარეობით არსებული 1,144 ლარის ოდენობის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულ იქნა 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება უზრუნველყოფილია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საბანკო გარანტიით.

2021 წელს კომპანიამ გააფორმა საგადასახადო შეთანხმება. დამატებითი ინფორმაცია შეთანხმების შესახებ იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

20. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	4,885	5,528	2,072
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	197	234	131
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში დაკავშირებულ მხარეებთან	4	86	2
სულ სავაჭრო ვალდებულებები	5,086	5,848	2,205

21. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გადასახდელი ხელფასები	359	157	38
საპენსიო ვალდებულებები	213	86	-
მიღებული ავანსები	24	18	3
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარეებისგან	43	-	-
სულ მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	639	261	41

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	4	10
შპს კავკასიის იბერია	სხვა დაკავშირებული მხარეები*	4	23
სს ფუდმარტი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	-	193

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	4	5
სს ფუდმარტი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	43	81

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	კავშირის სახე	2020	2019
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	25	24
შპს კავკასიის იბერია	სხვა დაკავშირებული მხარეები*	55	104
სს ფუდმარტი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	2,057	1,784

მიღებული სესხი დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	კავშირის სახე	2020	2019
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	1,088	-

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	218	481

*კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელს ან მის ოჯახის წევრს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 2 ივლისს შეიცვალა კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა. კერძოდ, შპს ჰოლდინგ-ჯის საკუთრებაში არსებული 25% იანი წილის მფლობელი გახდა ანდრო გეგენავა. შესაბამისად, ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის კომპანიის მფლობელთა წილობრივი გადანაწილება არის შემდეგი:

მფლობელი	წილი
ანდრო გეგენავა	50.00%
სს ვაკე	50.00%
	100%

2021 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შემოსავლების სამსახურმა კომპანიასთან გააფორმა საგადასახადო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც კომპანიას ჩამოეწერა ვალდებულება 931 ლარის ოდენობით და დაევა 279 ლარის გადახდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ლევან ჩხაიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია და საცალო გაყიდვები საფირმო მაღაზიებში. ბრენდის ისტორია იწყება 1961 წელს როდესაც თბილისში გაიხსნა პირველი სოსისების საამქრო.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	წილი
შემოსავალი ქსელური და საუბნო მაღაზიებისთვის საბითუმო მიწოდებიდან	20,659	82%
შემოსავალი პროდუქციის საფირმო მაღაზიებში რეალიზაციიდან	4,667	18%

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას სრულ ასორტიმენტში აქვს 155 დასახელების პროდუქცია. ძირითადი ჯგუფები რისი წარმოებაც ხდება გამოიყურება შემდეგნაირად:

- სოსისები და სარძელები;
- მოხარშული ძეხვი;
- შებოლილი ძეხვი;
- ნედლად შებოლილი ძეხვები და ხორცპროდუქტები;
- შაშხი;
- ზელები და ნახევრადფაბრიკატები.

პროდუქციის წარმოება მიმდინარეობს ცენტრალიზებულად ერთ საამქროში. 2019 წლის აგვისტოში კომპანიამ ექსპლუატაციაში გაუშვა და წარმოება სრულად გადმოიტანა ახალი საწარმოში.

საწარმოო პროცესთან ერთად კომპანია ასევე მართავს დისტრიბუციის ქსელს ქსელური მაღაზიებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგებისთვის და ასევე ფლობს საფირმო მაღაზიების ქსელს, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს შეიძინოს ყველაზე ფართო ასორტიმენტით წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. 2019 წლამდე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რეგიონებში მომარაგება ხორციელდებოდა სატელიტ სადისტრიბუციო კომპანიებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე 2019 წელს შეიცვალა მიდგომა და სავაჭრო წერტილების მომარაგება ხორციელდება საკუთარი ძალებით.

კომპანიამ 2020 წელს გააფართოვა საფირმო მაღაზიების ქსელი და ახალი მაღაზიები გახსნა თბილისში მისამართებზე: ვაშლიჯვარი, მუხრან მაჭავარიანის #28 და წყნეთი: რუსთაველის ქ. #39.

2020 წელს კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდიოდა თბილისზე (79%).

ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

კატეგორია	2020
დაფასოებული ხორცპროდუქტები	13,358
ხორცპროდუქტები დაფასოების გარეშე	10,401
ნახევარფაბრიკატები	348
სხვა პროდუქცია	1,219
სულ	25,326

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2020 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ლევან ჩხაიძე. კომპანიის დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში.


შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 25,326 ლარი, რაც დაახლოებით 1%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:	2020	2019
სულ შემოსავალი	25,326	25,565
სულ აქტივები	16,274	15,300
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	183	315
მარჟა	26.2%	26.5%
EBITDA	2,006	1,513
EBITDA %	7.9%	5.9%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	0.35	0.34
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.6	0.5
მარაგების ბრუნვა (დღე)	35.9	24.74
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	99.37	78.22
დებიტორების ბრუნვა (დღე)	31.72	29.65

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 165 დან 230-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია კვალიფიციური კადრების მოძიება, შენარჩუნება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე არანაკლებ პრიორიტეტულია დარგში არსებული სიახლეების შესაბამისად პერსონალის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ამისთვის როგორც ზემოთ აღნიშნა კომპანიაში ინერგება ხარისხის კონტროლის სტანდარტი. კომპანიის მენეჯმენტი არანაკლებ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა მიმდინარე საანგარიშგებო წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის გეგმებშია ქსელის მოდერნიზაცია და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული მიზნით კომპანიამ მიიღო დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 2020 წელს.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ლოკაციების დამატება

კომპანიის გეგმებში შედის ახალი საფირმო მაღაზიების გახსნა და ქსელის გაფართოება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ახალი პროდუქციის დამატება

კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი ასორტიმენტის შექმნაზე და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებაზე. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები**წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:**

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
ძირითადი საშუალებები	10,958	10,215	შენიშვნა 1
აღებული სესხები	9,668	8,408	შენიშვნა 2
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,254	337	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა უკავშირდება კომპანიის მიერ ახალი ქარხნის მშენებლობას, რისთვისაც კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო მიწა სიმბოლურ ფასად და აიღო ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება. ვალდებულება კომპანიამ შეასრულა და 2019 წელს ექსპლუატაციაში გაუშვა ახალი საწარმო, თუმცა კაპიტალიზაცია გაგრძელდა 2020 წლის განმავლობაშიც.

შენიშვნა #2:

2020 წელს სასესხო ვალდებულებების ზრდა უკავშირდება რეფინანსირების და ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნით ადგილობრივი ბანკისგან აღებულ დამატებით სახსრებს.

შენიშვნა #3:

კომპანიამ 2020 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტის ფარგლებში მიიღო დაფინანსება. პროექტის მიზანია კომპანიამ წარმოება ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოოს და უზრუნველყოს უსაფრთხო და ეკომეგობრული სამუშაო გარემო.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციის სრული ღირებულებიდან (1,746 ევრო), საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები შეადგენდა 1,646 ევროს. პროექტის მიხედვით, სესხის სახით მიღებული თანხის 15 პროცენტი (247 ევრო) მხარდამჭერი გრანტების სახით ანაზღაურდებოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ.

მიღებული გრანტები წარმოადგენს კოვიდპანდემიის პერიოდში ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად ამოქმედებული საკომპენსაციო პაკეტის და შეღავათების შედეგი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 728.6	3 716.9
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.50
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.10%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	4.90%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,310.80
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.60%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშობება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შემენისთანავე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2020 წლის 31 დეკემბრის არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს.

ლევან ჩხაიძე
დირექტორი

შპს ზორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშობა საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.


საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2020 წლის 31 დეკემბრის არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 25 სექტემბერს.


ლევან ჩხაიძე
დირექტორი

